საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2021 წლის აგვისტო)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის აგვისტოს თვეში.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) განცხადებაზე, რომელიც შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მოთხოვნას, – 300 ლარი.“

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით : 230000000.05.001.020376

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. დაუშვებელია საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების დათმობა განთავსებული კაპიტალის წილზე მოწმობის (ტიტულის) გადაცემის ან მიყიდვის და ბირჟის მართვის უფლების გადაცემის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

2. მე-13 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) განთავსებული კაპიტალის ოდენობა;“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით : 300060000.05.001.020383

ეს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ჰ5“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ჰ5) მნიშვნელოვანი წილის შეძენა – ავტორიზებული პირის მიერ სხვა ავტორიზებული პირის განთავსებულ კაპიტალში იმ ოდენობის წილის (საკონტროლო წილი) შეძენა, რომელიც განაპირობებს ამ პირის საქმიანობის მნიშვნელოვან კონტროლს. მნიშვნელოვანი წილის შეძენა განაპირობებს პირების ურთიერთდამოკიდებულებას;“.

2. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) ინდივიდუალური მეწარმისთვის – დაბადების ადგილი და თარიღი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, სამუშაო ადგილის მისამართი;

ბ) იურიდიული პირისთვის – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელი და გვარი;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით : 320110000.05.001.020387

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს შევიდა ცვლილება და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„ზ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 15[1] მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში – შემდეგ მონაცემებს:

ზ.ა) კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას;

ზ.ბ) იმ ფასიანი ქაღალდების მფლობელების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც განსაკუთრებული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, და ამ უფლების აღწერას;

ზ.გ) ხმის მიცემის უფლების განხორციელების შეზღუდვის (კერძოდ, გარკვეული პროცენტის ფასიანი ქაღალდების ან ხმის რაოდენობის მფლობელებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვის) შესახებ ინფორმაციას;

ზ.დ) მმართველობითი ორგანოს წევრთა დანიშვნასა და შეცვლასთან დაკავშირებულ წესებს, აგრეთვე წესდების ცვლილების შესახებ ინფორმაციას;

ზ.ე) მმართველობითი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაციას.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 260000000.05.001.020381

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საბაჟო კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს შევიდა ცვლილება და საქართველოს საბაჟო კოდექსის 187-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„9. ეს მუხლი შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირის ან არასამეწარმეო საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირის მიერ ძირითადი საშუალებისა და სხვა აღჭურვილობის შემოტანისას, თუ იგი საქმიანობის გასაგრძელებლად უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოდის.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 230000000.05.001.020370

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს შევიდა ცვლილება და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ზ) იურიდიული პირების წილების ან აქციების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განთავსებული კაპიტალის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს;“.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით : 220090000.05.001.020379

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 27-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 4^1 ნაწილი:

„4^1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების განსაზღვრისას დამატებით გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით მეწარმის საფირმო სახელწოდებისთვის დადგენილი წესები.“.

2. 29-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს პარტნიორთა შეთანხმებას და განცხადებას. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის დადგენილ სავალდებულო მონაცემებს.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 ნაწილები:

„2^1. მარეგისტრირებელი ორგანო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციასთან ერთად, ერთიანი ელექტრონული პორტალის ფარგლებში ქმნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ელექტრონულ მისამართს, რომელზედაც ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესები.

2^1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ჰქონდეს რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი,

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

რომელზედაც/რომლებზედაც შესაძლებელია ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა. ელექტრონული შეტყობინების რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა ამ შეტყობინების შესაბამისი პირისთვის ჩაბარებად მიიჩნევა.“.

3. 32-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაშლა ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი წესით.“;

ბ) მე-2 ნაწილს შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაშლის წესს, რომლის დამფუძნებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.“.

4. 35-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების წარმოშობასა და შეწყვეტაზე ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის დადგენილი ზოგადი წესები.“;

ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალზე ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 254-ე მუხლით დადგენილი წესი.

2. 2022 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა უზრუნველყოს იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაშლის წესის დამტკიცება, რომლის დამფუძნებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 040000000.05.001.020365

1. კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.
2. კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 25[2] მუხლი:

„მუხლი 25[2]. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააღსრულებო ფურცელი.“

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177 მე-16 პრიმა და 177 მე-17 პრიმა მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სააღსრულებო ფურცელს გამოსცემს ელექტრონულად, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი უნდა აკმაყოფილებდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს ელექტრონულად ეგზავნება, რაც სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველია.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.020372

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძვლეზე განსხავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი, რომელთაგანაც უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომლებიც ეხება ტერმინთა განმარტებას, კანონის მოქმედების სფეროს, ლიცენზირებას, საკუთრების უფლებასა და მართვას, საოპერაციო მოთხოვნებს, რეზოლუციას და ლიკვიდაციას.

ზემოაღნიშნული ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 220020000.05.001.020374

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სამომხმარებლო კოოპერატივის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და მისი წესდებით, რომელიც განსაზღვრავს ამ კოოპერატივის საქმიანობის საგანსა და მიზანს, მასში წევრად შესვლისა და კოოპერატივიდან გამოსვლის წესს, მის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს, კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოებს და მათ უფლებამოსილებებს, კაპიტალის ოდენობას, ქონების ფორმირებისა და მოგების განაწილების წესს, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პირობებს, მონაცემებს ფილიალებისა და წარმომადგენლობების შესახებ. აღნიშნული წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.“.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 300400000.05.001.020384

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს შევიდა ცვლილება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში , კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის:

ა) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ი) თვითდასაქმებული – ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც გადასახადის წყაროსთან დაკავებას არ ექვემდებარება;“;

ბ) „კ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„კ.ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირის შემთხვევაში – საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი;“.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 280060000.05.001.020385

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძვლეზე განსხავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი, რომელთაგანაც უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომლებიც ეხება მარეგისტრირებელ ორგანოთა სისტემასა და უფლებამოსილებებს, ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პრინციპებს და ა.შ..

ზემოაღნიშნული ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge , სარეგისტრაციო კოდით : 040150000.05.001.020377

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.
კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესი

2021 წლის 6 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება N08-ით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირების) წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 2 ივლისის №2 ბრძანება და დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ახალი წესი“.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესი ადგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების წესს, მიზნებსა და ძირითად პრინციპებს, ასევე, განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომლების, მონაცემთა სუბიექტის, მონაცემთა დამმუშავებლების, უფლებამოსილი პირის, დაინტერესებული პირისა და მესამე პირების უფლება-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 010100000.72.084.016034

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძვლეზე განსხავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი, რომელთაგანაც უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომლებიც ეხება ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე გამოსაქვეყნებლად მონაცემების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე გამოსაქვეყნებლად მონაცემების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანოებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებებსა და მოვალეობებს და სხვ.

ზემოაღნიშნული ცვილებების სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge

სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020368

ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. 38-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „ა“ მე- 7 პრიმა ქვეპუნქტი:

„ა“მე-7 პრიმა) განცხადებაზე, რომელიც შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მოთხოვნას;“.

2. 39-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„მ) განცხადებაზე, რომელიც შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მოთხოვნას, – 300 ლარს, ხოლო აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადებაზე – 500 ლარს.“.

3. 198-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) უფლებამოსილების შეჩერება ისეთ საქმეზე, რომელიც აღძრულია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების პარტნიორისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევის მოთხოვნით.“.

4. კოდექსს დაემატა XXXIV მე-4 პრიმა თავი.

ზემოაღნიშნული ცვილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 060000000.05.001.020366

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში და მისი 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020369

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შრომის კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ და კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ამ მუხლით დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მეწარმეზე,

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

თუ მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 48 თვე არ გასულა (დამწყები საწარმო) და იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამ პუნქტის მიზნებისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.“.

ზემოაღნიშნული ცვლილებების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ- https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 270000000.04.001.018012

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. 9^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრით. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომელიც არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ანგარიშვალდებული საწარმოს აუდიტის კომიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მოთხოვნებს.“.

2. კანონს დაემატა 15^1 მუხლი.

ზემოაღნიშნული ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 040170280.05.001.020380

ეს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ს) არაპირდაპირი მონაწილეობა – იურიდიული პირის განთავსებული კაპიტალის წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 290000000.05.001.020386

ეს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) აქციონერის/პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება;“.

2. მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეწარმე ფიზიკურმა პირმა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში.“.

3. 36-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მეწარმე ფიზიკურ პირად ითვლება:

ა) ინდივიდუალური მეწარმე – ფიზიკური პირი, თუ ის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არის ინდივიდუალური მეწარმე;

ბ) ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას.“.

4. 981 მუხლის მე-2 ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება. ამ

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ქვეპუნქტის მიზნებისთვის ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ოპერაციის განხორციელების შემდეგ საწარმოს კაპიტალის გაზრდა არ მიიჩნევა პარტნიორის მიერ კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) განხორციელებულ შენატანად;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდების განაწილება;“.

5. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირების (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი) მიერ მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.“.

6. 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020367

ეს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“

2021 წლის 2 აგვისტოს „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ მე-9 პრიმა ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ჰ“ მე-9 პრიმა) სადამფუძნებლო დოკუმენტი – ერთობლივი საინვესტიციო ფონდის წესები ან საინვესტიციო კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმება;“.

2. მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ერთობლივ საინვესტიციო ფონდზე.“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) 3^1 პუნქტი:

„3^1. ღია ან ინტერვალური საინვესტიციო კომპანიის განთავსებული კაპიტალი არის განთავსებული ერთეულების წმინდა ღირებულებათა ჯამი.“;

ბ) მე-5 პუნქტი:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„5. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საინვესტიციო კომპანიაზე. ღია ან ინტერვალურ საინვესტიციო კომპანიაზე არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის, 153-ე და 154-ე მუხლების, 156-ე მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებისა და 163-ე–171-ე და 225-ე მუხლების მოქმედება.“.

4. მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქციათა რეესტრის წარმოების წესები არ ვრცელდება სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე საინვესტიციო კომპანიაზე. ამ მუხლის მე-2–მე-6 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე საინვესტიციო კომპანიაზე.“.

5. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) სადამფუძნებლო დოკუმენტს (საინვესტიციო კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმებას) მასში შეტანილი ცვლილებების (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;“.

6. მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო შეთანხმება მასში შეტანილი ცვლილებების (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;“.

7. 25-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველ კომპანიაზე.“.

8. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) აქტივების მართვის უფლებამოსილების შეწყვეტა აქტივების მართვის შესახებ ხელშეკრულების, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის ან/და კანონის შესაბამისად;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 240080000.05.001.020382

ეს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №197

2021 წლის 5 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №197-ის საფუძველზე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 72-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვის შესახებ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია დღგ-ის თანხა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ბიუჯეტში გადახდილია სრულად ან არასრულად გადახდის შემთხვევაში – საგადახდო დავალებაში მითითებულია დღგ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge

სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017494

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №119/04

2021 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №119/04-ის საფუძველზე, „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, განახორციელოს აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირება, რეგისტრაცია ან აღიარება ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენის გარეშე (გარდა კანონით აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების,

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

რეგისტრაციის ან აღიარებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციისა) და, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვროს ვადა ამ დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის.“.
ამავე ცვლილების საფუძნევლზესაქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლება გამოიყენოს ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული, წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი უფლებამოსილება აგრეთვე აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის ან აღიარების მიზნით ამ ბრძანების ამოქმედებამდე წარდგენილი განაცხადების განხილვისას.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 240090000.18.011.016591

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №59/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

2021 წლის 3 აგვისტოს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება რომლის მიხედვითაც დამკიცდა საჯარო სკოლების/სექტორების საბაზო-საშუალო საფეხურებისთვის განახლებული საათობრივი ბადე.“

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018059

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №420

2021 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე, 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებისა და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №587 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა გუდაურის სარეკრეაციო

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწების (უძრავი ქონებების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.276; №74.06.11.719; №74.06.11.477; №74.06.11.714; №74.06.11.790; №74.06.11.390) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა დადგენილებაზე თანდართული სახით.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://www.matsne.gov.ge

სარეგისტრაციო კოდით: 330090000.10.003.022975

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №395

2021 წლის 4 აგვისტოს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდა 2021 წლის 7 ივლისს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გამარტივებული საბაჟო დერეფნის შესახებ“ შეთანხმება.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს თურქეთის რესპუბლიკის მხარეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ https://www.matsne.gov.ge

სარეგისტრაციო კოდით: 480140000.10.003.022950

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge